

ბიზნეს სუბიექტები... 2016 (10)

სტატისტიკური და ანალიტიკური რელიზი

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური მონაცემებით, 2016 წლის ოქტომბრის თვეში ქვეყანაში რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობამ 3 830 ერთეული შეადგინა, რომელთა შორის 96.6% სამეწარმეო სუბიექტია (ინდივიდუალური მეწარმე, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, კოოპერატივი, უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი), ხოლო 3.4% - არასამეწარმეო სუბიექტი (არასამეწარმეო იურიდიული პირი, უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი). ამავე თვეში ბიზნესის რეგისტრაციის თვის ინდექსი (დეკემბერი 2010=100) 0.875 დონეზე დაფიქსირდა.

ა.წ. ოქტომბრის თვეში დაფიქსირდა კლება წინა თვესთან (9.4%-ით), ხოლო ზრდა - წინა წლის იმავე თვესთან (4.0%-ით) შედარებით.

2016 წლის ოქტომბრის თვეში წინა თვესთან შედარებით სამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა 9.0%-ით, ხოლო არასამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა 20.5%-ით შემცირდა. განსხვავებული ტენდენცია დაფიქსირდა წინა წლის იმავე თვესთან შედარებით: სამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა 3.7%-ით, ხოლო არასამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა 13.8%-ით გაიზარდა.

ამავე თვეში ბიზნესის რეგისტრაციის თვის ინდექსი (დეკემბერი 2010=100) სამეწარმეო და არასამეწარმეო სუბიექტების მიხედვით შესაბამისად 0.870 და 1.039 დონეებზე დაფიქსირდა.

ა.წ. ოქტომბრის თვეში ბიზნეს სუბიექტთა უმეტესობა დარეგისტრირდა ინდივიდუალური მეწარმის (1 921 ერთეული, ანუ რეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა 50.2%) და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (1 750 ერთეული, ანუ რეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა 45.7%) სახით. როგორც ჩანს, ბიზნეს სუბიექტთა 95.8% მხოლოდ აღნიშნულ სამართლებრივ სტატუსებს ანიჭებს უპირატესობას. ამავე თვეში ქვეყანაში დარეგისტრირდა: 132 არასამეწარმეო იურიდიული პირი, 12 კოოპერატივი, 10 უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი და 5 სააქციო საზოგადოება.

ა. წ. ოქტომბრის თვეში რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობის მიხედვით გამოიყო ტერიტორიული ერთეულების ტოპ ათეული და გამოვლინდა აღნიშნული მონაცემების ზრდა/კლების ტენდენცია (წინა თვესთან და წინა წლის იმავე თვესთან შედარებით).

P.S. დამატებით იხილეთ:

(ა) ცხრილი - ბიზნესის რეგისტრაციის თვის სტატისტიკა... ოქტომბერი, 2015-2016

(ბ) ცხრილი - რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობის მიხედვით ტერიტორიული ერთეულების ტოპ ათეული... ოქტომბერი, 2016

(გ) გრაფიკი - ბიზნესის რეგისტრაციის თვის დინამიკა... 2010-2016



© საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

**(ა) ბიზნესის რეგისტრაციის თვის სტატისტიკა
ოქტომბერი, 2015-2016**

ინდიკატორები	ზ.ე.	ოქტომბერი	
		2015	2016
რაოდენობა			
სამეწარმეო სუბიექტები	ერთეული	3565	3698
არასამეწარმეო სუბიექტები	ერთეული	116	132
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	ერთეული	3681	3830
სტრუქტურა			
სამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	96.8	96.6
არასამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	3.2	3.4
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	პროცენტი	100	100
ზრდა/კლება წინა თვესთან შედარებით			
სამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	-4.7	-9.0
არასამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	-3.3	-20.5
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	პროცენტი	-4.6	-9.4
ზრდა/კლება წინა წლის იმავე თვესთან შედარებით			
სამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	-15.2	3.7
არასამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	-6.5	13.8
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	პროცენტი	-15.0	4.0
ბიზნესის რეგისტრაციის თვის ინდექსი			
სამეწარმეო სუბიექტები	კოეფიციენტი	0.839	0.870
არასამეწარმეო სუბიექტები	კოეფიციენტი	0.913	1.039
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	კოეფიციენტი	0.841	0.875
რაოდენობა			
ინდივიდუალური მეწარმე	ერთეული	1922	1921
სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება	ერთეული	1	0
კოოპერატივი	ერთეული	44	12
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება	ერთეული	1578	1750
სააქციო საზოგადოება	ერთეული	9	5
კომანდიტური საზოგადოება	ერთეული	0	0
უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი	ერთეული	11	10
არასამეწარმეო იურიდიული პირი	ერთეული	116	132
უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი	ერთეული	0	0
საჯარო სამართლის იურიდიული პირი	ერთეული	0	0

(ბ) რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობის მიხედვით ტერიტორიული ერთეულების ტოპ ათეული. ოქტომბერი, 2016

#	ტერიტორიული ერთეული	რაოდენობა	პროცენტი	
		ოქტომბერი 2016	ოქტომბერი 2015	სექტემბერი 2016
1	თბილისი	1593	1.7	-6.8
2	ბათუმი	214	2.4	1.9
3	ქუთაისი	180	-5.3	4.7
4	რუსთავი	128	20.8	0.0
5	გურჯაანის მუნიციპალიტეტი	97	11.5	-16.4
6	ქობულეთის მუნიციპალიტეტი	67	19.6	131.0
7	ხულოს მუნიციპალიტეტი	56	273.3	100.0
8	მარნეულის მუნიციპალიტეტი	54	-22.9	-16.9
9	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	53	60.6	76.7
10	ცაგერის მუნიციპალიტეტი	47	235.7	683.3

წყარო: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 2016

© ინფორმაციის გამოყენებისას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მითითება სავალდებულოა!

ბიზნეს სუბიექტების რეგისტრაციის თვის დინამიკა... 2010-2016

ახალი ბიზნეს სუბიექტები (ერთეული)

